



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კორძაია დიმიტრი ჯანსუღის ძე

კორძაია დიმიტრი ჯანსუღის ძე (დ.11. XI. 1958, თბილისი), ქირურგი, ანატომი, პალიატიური მზრუნველობის სპეციალისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996).

1982 დაამთავრა თსსი. 1983- 2002 იყო ამავე ინ-ტის ოპერაციული ქირურგ. და ტოპოგრაფიული ანატ. კათედრის, ხოლო 1994-2002 - ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ახლანდ. ქირურგ. ეროვნ. ცენტრი) ჰეპატო-ბილიარული ქირურგიის განყ-ბის თანამშრომელი; 1998- 2005 - საქართვე. შრომის, ჯანმრთელობის და სოც. დაცვის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი; 2005-იდან თსუ-ის მედ.ფაკ-ტის კლინიკური ანატ. და ოპერაციული ქირურგ. კათედრის ხელმძღვანელი; 2009-17 - ამავე უნ-ტის დეკანის მოადგილე; 2017-იდან - დეკანი; 2005-12 ა. ნათიშვილის სახ. ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტის დირექტორი. 2013-იდან ამავე ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი. სამეცნ. საბჭოს თავ-რე.

კ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ.შ. 2 მონოგრაფიისა და 3 სახელმძღვანელოს ავტორი, რ-ებშიც განხილულია ღვიძლისა და სანაღვლე გზების ანატ. და ქირურგიის, აგრეთვე პალიატიური მზრუნველობის საკითხები. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2012).

თხზ.: ღვიძლგარეთა ქოლესტაზი, თბ., 1990; ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია (სახელმძღვ. თანაავტ.), თბ., 2005; პალიატიური მზრუნველობა (სახელმძღვ.), თბ., 2005.

---